

## პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ინოვაციურ პროექტზე მუშაობს. პოლონელ პარტნიორებთან ერთად ქ. ტყიბულში ნახევრად კოქსის წარმოების ქარხნის მშენებლობა იგეგმება სადაც, ნედლეულის სახით ადგილობრივი ქვანახშირი გამოიყენება. აღსანიშნავია რომ კოქსის მიღება ახალი ტექნოლოგიური პროცესის თანხლებით მოხდება, რომელიც პოლონური მხარის მიერ არის აღმოჩენილი და პირველად ახალი საწარმოს პირობებში ჩაეშვება. გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი(ნახევარ კოქსი) კი ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში, კერძოდ კი ფეროშენადნობების წარმოებაში.

პირველ ეტაპზე ქარხანაში იფუნქციონირებს ნახევრად კოქსის წარმოების ორი ხაზი. პროექტი ქართული და პოლონური მხარის ერთობლივი ინვესტიციით განხორციელდება. ქარხნის გაშვება 2018 წლიდან იგეგმება.

23.02.2017

---

კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.

